



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N27

ქ.ზუგდიდი

15 დეკემბერი 2016 წ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ივლისის N18 დადგენილების შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 15 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მაიზერ ნანავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის გეგმა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის გეგმა (შემდგომში-„გეგმა“) შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.
2. გეგმა ადგენს საორგანიზაციო სტრუქტურებს, რეორგანიზაციის ვადებს, გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რეორგანიზაციის პროცესში გამგეობის საქმიანობის რეჟიმს და მის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.

მუხლი 2. საორგანიზაციო სტრუქტურები

რეორგანიზაცია შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:

- ა) ადმინისტრაციული სამსახური;
- ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- გ) ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური;
- დ) ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური;
- ე) კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახური;
- ვ) სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;
- ზ) ზედამხედველობის სამსახური;
- თ) შიდა აუდიტის სამსახური;
- ი) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური;
- კ) მშენებლობის სამსახური.

მუხლი 3. საორგანიზაციო ღონისძიებები და ჩატარების ვადები

1. გამგეობის რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს აქტის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.
2. რეორგანიზაციის პროცესში ტარდება შემდეგი ღონისძიებები:
 - ა) სამსახურის დებულებების პროექტების მომზადება არაუგვიანეს 2016 წლის 23 დეკემბრამდე;
 - ბ) „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანჟირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტის მომზადება არაუგვიანეს 2016 წლის 23 დეკემბერამდე;
 - გ) ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემა რეორგანიზაციის შესახებ თანამშრომელთა გაფრთხილების თაობაზე.

მუხლი 4. გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები

1. გეგმის შესრულებას კოორდინაციას უწევს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომელმაც გეგმის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დაცვით საკრებულოს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები.
2. დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელია გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მაიზურ-ნანაძე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

